„ლეგენდად დარჩეს...“ ლეგენდად დარჩეს?

საქართველოში (და თუ გულწრფელები ვიქნებით, სხვაგანაც) იურისტების უმრავლესობას ეზიზღება სამართალში სქესსა თუ გენდერზე საუბარი. ბუნებრივია, ამის მიზეზი სხვადასხვაა, – საკითხის არცოდნიდან დაწყებული, ინტერესის არქონითა თუ შინაგანი კომპლექსებით დამთავრებული. ამიტომაც საკითხს მარტივად მივუდგებით ხოლმე და ისეთ საინტერესო, ლამის კომიკურობამდე დასულ უსისტემობაშიც კი, როგორიც ქართული იურიდიული განათლებაა, სტუდენტებს ვასწავლით, რომ სამართალს სქესი არ გააჩნია. ამ მარტივ და სრულიად ლოგიკურ იდეასთან ერთად იმასაც ვამტკიცებთ, რომ სქესი იურისტსაც არა აქვს, რადგან ჩვენს ხელობას, რომელიც აგერ უკვე ლამის 25 საუკუნეა შინაარსობრივად ძველ რომაულ ყალიბს არ გასცდენია, მხოლოდ პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერება სჭირდება, სქესისა თუ გენდერის განურჩევლად. ამის კვალდაკვალ, იქვე ჩნდება იურისტების ლექსიკაში მეორე ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვა „თუმცა“, თავისი განუკითხაობითა და განუჭვრეტელობით. თუკი ქალ იურისტზე მიდგება საქმე, ხშირად ხაზს უსვამენ მისი, როგორც ქალი იურისტის, გამორჩეულობას, ნიჭიერებას, პროფესიონალიზმს და ასე მარტივად, ერთი ხელის მოსმით იურისტს უჩნდება სქესი, პროფესია კი ნაწევრდება ქალებად და კაცებად.

თინათინ წერეთელი ერთ-ერთი იშვიათია მეოცე საუკუნის იურისტთა შორის, ვისზეც საქართველოში, პროფესიულ თუ აკადემიურ საზოგადოებაში (ამ ცნებათა ყველაზე ოპტიმისტური გაგებით), ცალსახად ჩამოყალიბებული აზრი არსებობს. მას სრულიად სამართლიანად და დამსახურებულად მიიჩნევენ გამორჩეულ პროფესიონალად, ქართული სისხლის სამართლის მეტრად და მასწავლებლად. და მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე იურისტთა უმრავლესობას, თითქმის საუკუნოვანი ტრადიციის შესაბამისად, არც მისი ნაშრომები წაუკითხავს და არც პროფესიული კარიერის შესახებ აქვს ნათელი წარმოდგენა, ეს სულაც არ უშლის მის ლეგენდად წარმოჩენას. სიმართლე ითქვას, ლეგენდაც ხომ

სწორედ ასე, გადმოცემით ჩნდება. არადა, რამდენი გასაოცარი აღმოჩენა ელის დაინტერესებულ ადამიანს წინ – დახვეწილი აკადემიური ნაშრომები, აზროვნების გამორჩეული მასშტაბი, შესაშური თავისუფლება და რაციონალურობა, რაც ასე აკლია თანამედროვე იურისპრუდენციას. პროფესიონალიზმთან ერთად თაობებს გადაეცემოდა თინათინ წერეთლის პრინციპულობა და კეთილსინდისიერება, რაც მას ყოველთვის გამოარჩევდა კოლეგებისგან (აქ უკვე ნამდვილად დროის მონაკვეთის დაკონკრეტებაც კი არაა საჭირო). ზოგიერთი ამბის მოსმენისას, სიმართლე გითხრათ, დავეჭვებულვარ, მეყოფოდა თუ არა გამბედაობა, ისე მოვქცეულიყავი, როგორც ის (მით უმეტეს, რომ მის პრინციპულობას მისთვისვე არცთუ სასიამოვნო შედეგები მოჰყვებოდა ხოლმე).

და მაინც... ყოველივე ამის მიუხედავად, თინათინ წერეთლის შესახებ საუბრისას ხშირად გვერდს ვერ უვლიან მის სქესს, თითქოს ცდილობენ ამით მისი დამატებითი დამსახურების ხაზგასმას. არადა, სინამდვილეში პირიქითაა. მის სიდიადეს სრულებითაც არ სჭირდება დაზუსტება, დამატებითი ნიშან-თვისებები. უბრალოდ გაეცანით მის ნაშრომებს, მათში გადმოცემულ იდეებს, კვლევის სიღრმეს, სტილსა და მანერას, რაც მთავარია, არ დაგავიწყდეთ, დახედოთ გამოქვეყნების თარიღებს.

თინათინ წერეთელი ნამდვილად ქართული იურისპრუდენციის ლეგენდაა, თუმცა ის უბრალოდ ლეგენდად არ უნდა დარჩეს, არ უნდა იქცეს მითოსად. დღეს, ისე როგორც არასდროს, გვჭირდება კეთილსინდისიერი და პროფესიონალი იურისტის მოდელები, რეალური ადამიანები, ვისაც მივბაძავთ, ვინც შთაგვაგონებს, გაგვამხნევებს, გვაიძულებს კაზუსის ამომხსნელი მანქანების ნაცვლად მოაზროვნე, სამართლიან იურისტებად დავრჩეთ, იურისტებად, რომლებსაც სქესი არ გააჩნიათ.

დიმიტრი გეგენავა
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პროფესორი
დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის დირექტორი
2025 წლის ოქტომბერი, თბილისი